

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 109 (1279) | სუბსაბატი, 11 სექტემბერი, 1968 წ. | ფასი 80 კპ.

დასკვნითი აჯაჯა

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.) ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბიელზე დასასრულს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის XXV ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის.

უკანასკნელ მატჩებამდე თბილისის „ბურვესტიკს“ ჩატარებული 16 შეხვედრიდან მხოლოდ 5 ქულა — ჰქონდა და გათამაშების ცხრილში მე-10 ადგილზე იყო ფიქობდა. ეს „ბ“ კლასში გადასვლის სერიოზულ საფრთ-

ხეს ჰქმნიდა. თბილისელებმა პირველად მატჩში სვერდლოვსკის „ტრუდთან“ ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 40:38. 7 სექტემბერს ჩემპიონატის ლიდერმა მოსკოვის „დინამომ“ დაძაბულ ბრძოლაში ძლიერ მოსკოვის „სერბ ი მოლოტს“ — 53:45. ჩემპიონატის მეორე პრეტენდენტმა ტალინის „კალევიამ“ სუსტად ჩაატარა შეხვედრა მოსკოვის „ტრუდთან“, დამარცხდა (38:39) და დაქარგა მეტად საჭირო ქულა. ლენინგრადის „ბურვესტიკმა“ მოუგო როსტოველ თანაკლებლებს — 52:44. ლენინგრადის სკოპ-მ კუნსის „ჟალგირისს“ — 49:39. რიგის „დაუგავამ“ დაამარცხა მოსკოვის „ბურვესტიკი“ — 60:28.

მეორე და მესამე ტურში თბილისელებმა კვლავ მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები. მათ ჯერ მოუგეს კუნსის „ჟალგირისს“ — 35:30, ხოლო შემდეგ ლენინგრადელ თანაკლებლებთან მატჩში თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს კიდევ — 49:44.

მესამე ტურში საერთო ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის „დინამოსა“ და როსტოვის „ბურვესტიკის“ მატჩი. როსტოველებმა, რომლებმაც წინა დღეს ანგარიშით — 62:50 დაამარცხეს მოსკოველი თანაკლებლები, ამჯერადაც მეტად მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის პირველი ნახევარი მოსკოველთა უპირატესობით დამთავრდა, როსტოველებმა შემდეგში ხელთ იგდეს ინიციატივა და სძლიეს ლიდერს — 51:49. ეს იყო ლიდერის მეორე დამარცხება ჩემპიონატში.

მეორე და მესამე ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: სკო (ლენინგრადი) — „ბურვესტიკი“ (ლენინგრადი) — 48:50, „დაუგავა“ (რიგა) — „კალევი“ (ტალინი) — 49:41, „ჟალგირისი“ (კუნსისი) — „ბურვესტიკი“ (ლენინგრადი) — 38:24, „სერბ ი მოლოტი“ (მოსკოვი) — „ტრუდი“ (სვერდლოვსკი) — 55:38, „ბურვესტიკი“ (მოსკოვი) — სკო (ლენინგრადი) — 44:41, „დინამო“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა) — 70:63.

პორტოროუის ტურნირი

მე-17 და მე-18 ტურებში ტალმა ორივე პარტია გადადო, რითაც ტ. პეტროსიანს საშუალება მისცა კვლავ სათავეში ჩაედგომოდა გათამაშებას. გადადებული პარტიების დამთავრებისას თუ ტალი ნახევარ ქულას იღებდა პანოსთან და ოლფასთან, ეწეოდა მხოლოდ პეტროსიანს, მის მოწინააღმდეგეებს კი საკმაოდ ეზარდებოდათ „სპირიზო“ ადგილზე გასვლის შანსები.

ტალ-პანოს პარტიის განახლების თეორემა ფორსირებულად მოიგეს ორი ბაიკი და ლაზიერის დახმარებით შექმნეს გამსვლელი ბაიკი. მართალია, გამსვლელი ბაიკი მიიღეს შვეებმა, მაგრამ ტა-

გრძელდება ფინალში

მსოფლიო ჩემპიონის დაბრუნება
ჩემპიონატი
საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ვაჟთა გუნდები.

პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონის — ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ თამაშობდნენ უნგრელი ფრენბურთელები. მასპინძლებმა ძნელ ბრძოლაში შეძლეს პირველი პარტიის მოგება — 17:15. განსაკუთრებით საინტერესო იყო მეხუთე, გადამწყვეტი პარტია, რომელიც ჩეხ სპორტსმენებს მიყვარდათ — 14:9. უნგრელებმა მოახდინეს ძალების მობილზება, ჯერ ზედღებდ აიღეს 5 ქულა, მდგომარეობა გაათანაბრეს და შემდეგ დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონი საერთო ანგარიშით — 3:2.

ბულგარეთისა და რუმინეთის გუნდების მატჩი დამთავრდა პირველთა გამარჯვებით — 3:1. საბჭოთა კავშირის ნაკრების სათადარიგო შემადგენლობამ დაამარცხა საფრანგეთი — 3:1. ამ დღეს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ახვლედიანმა და ვინგორმა პირველი შეხვედრა დაასვეს, რადგან მეორე დღეს მათ მატჩი ჰქონდათ რუმინეთის ძლიერ კოლექტივთან, მიუხედავად ამისა, რუმინელმა ფრენბურთელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:2.

ქალთა შორის წარმატებით გამოდიან საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის გუნდებს.

ჩემპიონატის სახეიშო დასურვამ მოხდებდა დღეს.

ქ. კოლუბის სახელობის ტაშის

ვენის მუნიციპალიტეტის საბჭომ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება: ქრისტეფორე კოლუმბის სახელობის საერთაშორისო თასი გადაეცეს საბჭოთა მძლეოსან ვლადიმერ კუცს XVI ოლიმპიურ თამაშებში ორი პირველი ადგილის მოპოვებისათვის 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში და გასული წლის ოქტომბერში რომში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 5.000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის.

ი. პიონის რეკორდი

ვილნიუსის აქ, ქალაქის პირველობაზე მძლეოსნობაში, ახალი საკავშირო რეკორდი დამყარა სპორტის ოსტატმა იონას პიონემ. მან 2.000 მეტრი გაიბრინა 5 წუთსა და 8,3 წამში.



მაღლე გახსნება პარაშუტით. ფოტო ე. დედოვიცა.

საქართველოს II სპარტაკიადის დებულება და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ერთი უპირველესი ამოცანა

რევანდულ გაზეთში გამოავრცობს საქართველოს II სპარტაკიადის დებულების ბეჭდვას. თუ რა მიზანს ემსახურება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის ყველა წინა ეტაპი, ჩვენთვის ცნობილია. ცნობილია აგრეთვე ჩატარების დრო და ადგილი, გუნდების რიცხობრივი შემადგენლობა, შეჯიბრების პირობები და სხვ.

დებულების გამოქვეყნების შემდეგ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობა ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების ახალ ფაზაში შევიდა. სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტები ახალი ძალით ამოქმედდნენ, მკვეთრად გამოცოცხლდა საქმიანობა ძირეულ კოლექტივებში. სწორედ ამ საერთო აღმავლობის შედეგია ის დიდი გამარჯვება, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა სპორტსმენებმა მიაღწიეს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე, ბ. ანტონოვისა და შ. ქველიაშვილის გამარჯვება მსოფლიო მსოფლიო პირველობაზე, საქართველოს წარგზავნილთა წარმატება სტუდენტთა საკავშირო თამაშებში და სხვ. ოქტომბერში თბილისში ჩატარდება საკავშირო პირველობა მძლეოსნობასა და თავისუფალ ჭიდაობაში. იმედია, ჩვენი სპორტსმენები თავს გამოჩენენ და მიმდინარე სპორტული სეზონის ფინიშს ახალი მიღწევებით დააკვირვებენ.

იმისათვის, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის წარმატება არ შეფერხდეს, საჭიროა ყოველმხრივ მოვემზადოთ საქართველოს სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარ-

ტაკიადისათვის. ამისათვის პირველ რიგში საჭირო იქნება სპარტაკიადის დებულებას გაეცნოს თვითონი ფიზკულტურელი, მწვრთნელი, სპორტსმენი (სწორედ ამ მიზნით გამოვაქვეყნეთ იგი ჩვენი გაზეთში), საჭიროა ყველა ღრმად ჩაუვადეს სპარტაკიადის მიზნებსა და ამოცანებს, ყველამ გაიგოს, რომ სპარტაკიადა სპორტსმენთა ვიწრო ჯგუფების შეჯიბრება როდია, არამედ რესპუბლიკის მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დემონსტრაცია და ამავე დროს მკაცრი შემოწმებაც, რომლის მიზანია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კიდევ უფრო აღმავლობა და მასობრიობის დაწინაურება სპორტის ყველა სახეობაში.

ჩვენ ვვაჟვ ცნობა, რომ ბორჯომში მეტად ცუდად დგას სპორტული ბაზების საკითხი. საცურაო აუზის მშენებლობა დაიწყო და არ დაამთავრეს, ასეთ დღეშია სტადიონიც. საქართველოს სპარტაკიადის დებულებაში კი მითითებულია, რომ სარაიონთაშორისო სპარტაკიადის ერთ-ერთი ზონა ჩატარდება ბორჯომში. ამ ფაქტმა უნდა დააფიქროს რაიონის მესვეურები. სპარტაკიადის ეს პუნქტი არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება და თუ მათ ახლაც არ გაშალეს მუშაობა ბაზების მშენებლობის დარგში, მერე ვვინა იქნება.

კარგი, მეტად კარგი ინიციატივა გამოიჩინეს კასპის რაიონის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აქტივის დარაზმვითა და საკუთარი, აუთვისებელი რესურსების გამოყენებით რაიონის ცენტრში აგებულ იქნა საკიადო სარბიელი, იქვე შენდება ტან-

გონების დარბაზი, საჭიდაო სარბიელი შენდება აგრეთვე გორში, საგარეჯოში. რამდენიმე ბაზა ჩაედა ამ დღეებში მწვობრში თბილისშიც.

ჩვენ პირველ რიგში ბაზებზე იმით ვაგაზავით ყურადღება, რომ ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ჩვენი მუშაობაში. გვექნება კეთილმოწყობილი ბაზა და სექციებში მეცადინეობის ენთუზიასტებიც გამოჩნდებიან, თან რიგობებიც დაიწყო, გვექნება კეთილმოწყობილი ბაზა და სპარტაკიადა ჩატარდება ზუსტად. მაღალ დონეზე, იგი მიიზიდავს და დაინტერესებს ფართო მასებს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტში ამას წინათ ჩატარდა სარაიონო და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი. ბევრი მათგანი საქმე შეგნებულად უდგებოდა, ზოგი კი უმწეოდ შლიდა ხელს და დაინტერესებით მოითხოვდა დამატებით თანხებს ბაზების მშენებლობისათვის. რასაკვირველია, თანხა საჭიროა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფო სახსრებს გაფრთხილება უნდა. იგი უნდა დაინაზროს იქ, სადაც ეს აუცილებლად საჭიროა და არა იქ, სადაც ჩვენი საკუთარი ძალებით შეგვიძლია ამა თუ იმ საშუალოს შესრულება. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ბორჯომის, გულრიფშის, ქობულეთისა და სხვა რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ ნუ უცდიან „მოწყალეებს“, დარაზმონ აქტივი, გაშალონ თვითმოქმედება, ქმედითად გამოიყენონ პარტიული ორგანიზაციების დახმარება და ვიდრე კლიმატური პირობები ხელს გვიწყობს, თავიანთი სპორტულ ნაგებობათა ნანგრევების აღორძინებაზე იფიქრონ.

დაახ, ჩვენ სპარტაკიადაზე ლაპარაკი ბაზებით დავიწყეთ, შემდეგ ვეცდებით შევხვთ ამ დიდ ღონისძიებასთან დაკავშირებულ ყველა წვრილმან საკითხსაც კი. საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადება ყველას ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, ყველაფერი ამ საერთო საქმისათვის უნდა კეთდებოდეს.

(საზღაბრევილო რეოლა სარეოლ მანაწანაზა)

გუნდის შემადგენლობა უდრის 9 კაცს: 4 ვაჟი, 4 ქალი, 1 მწვრთნელი.

ვაჟები

100 კმ (სტარტი გუნდური). მონაწილეობს 4 ველოსაიპედისტი, ჩათვლა შესამის მიხედვით.

200 კმ (საერთო სტარტი). ჩათვლა 2 მონაწილის ადგილების ჯამის მიხედვით.

ქალები

25 კმ (სტარტი გუნდური). მონაწილეობს 4 ველოსაიპედისტი, ჩათვლა შესამის მიხედვით.

50 კმ (სტარტი საერთო). ჩათვლა 2 მონაწილის ადგილების ჯამის მიხედვით.

გუნდური ჩათვლა წარმოებს გუნდების მიერ 4 დისტანციაზე მიღებულ ქულათა ჯამის მიხედვით.

პირველი ადგილისათვის ყოველ დისტანციაზე გუნდი ღებულობს იმდენ ქულას, რამდენი მონაწილეცაა შეჯიბრებაში.

ქულათა თანაფარდობისას 2 და მეტ გუნდს შორის უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს მონაწილეთა უკეთესი პირადი შედეგები.

სპორტული

სანაწარმო

გუნდის შემადგენლობა უდრის 7 კაცს: 3 ვაჟი, 3 ქალი და 1 მწვრთნელი.

შეჯიბრება ტარდება სპორტის ოსტატისა და პირველი თანრიგის საკლასიფიკაციო პროგრამის მიხედვით.

გუნდური პირველობა განისაზღვრება გუნდის 2 საუკეთესო მონაწილის მიერ მრავალქედის ყოველ სახეობაში ადგილებზე მიღებული ქულათა ჯამის მიხედვით.

გუნდური პირველობის ჩათვლაში გუნდის მონაწილეთა შედეგები შემდეგი კოეფიციენტის გათვალისწინებით: I თანრიგი — 1,0, სპორტის ოსტატი — 1,3.

მკლემონობა

გუნდის შემადგენლობა უდრის 15 კაცს: 14 მონაწილე, 1 მწვრთნელი.

შეჯიბრების პროგრამა

ვაჟები

რბენა: 100, 200, 400, 800, 1.500, 5.000, 10.000 მ; თარჯობენი 110, 400 მ; რბენა დაბრკოლებებით 3.000 მ.

სიარული: 20 კმ, 50 კმ. ხტომები: სიგრძე, სიმაღლე, ჭოკით, სამხტომი.

ბადროს ტყორცა. შუბის ტყორცა. უროს ტყორცა. ბირთვის კერა.

ქალები

რბენა: 100, 200, 400, 800 მ; თარჯობენი 80 მ.

ხტომები: სიგრძე, სიმაღლე. ბადროს ტყორცა. შუბის ტყორცა. ბირთვის კერა.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

ფიზიკური კულტურის კოლექტივების შეჯიბრების პროგრამა და პირობები

სურსათი

გუნდის შემადგენლობა უდრის 7 კაცს: 4 ვაჟი, 2 ქალი, 1 მწვრთნელი.

შეჯიბრების პროგრამა

თავისუფალი სტილი—100, 400 მ. ბრასი — 200 მ.

ბატერფლაი (დელფინის სტილი) — 100 მ.

ზურგზე — 100 მ. ქალები თავისუფალი სტილი — 100 მ. ბრასი — 200 მ.

სასტენდო სროლა

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 6 კაცს: 5 მონაწილე, 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი.

გუნდის შემადგენლობაში უნდა იყვნენ სპორტის ოსტატები და პირველ თანრიგის.

შეჯიბრების პროგრამა

სროლა მფრინავ სამიხენზე ადგილიდან პირად-გუნდურ პირველობაზე. 200 სამიხენ მსროლელზე.

გუნდის შემადგენლობა — 5 კაცი, ჩათვლა 4 საუკეთესოს მიხედვით.

სროლა მფრინავ სამიხენებზე მრგვალ სტენდზე. გუნდური პირველობა — 100 სამიხენ მსროლელზე.

გუნდის შემადგენლობა—4 კაცი, ჩათვლა ყველას შედეგების მიხედვით.

პირადი პირველობა — 200 სამიხენ (მათ შორის 100 გუნდურ პირველობაში).

შენიშვნა: ქალები მონაწილეობენ ევეტბთან ერთად საერთო საფუძველზე. გუნდურ ჩათვლაში მიიღება ვაჟთა არანაყლებ I თანრიგის შედეგები.

პირადი პირველობა პროგრამის ყველა სახეობაში გათვალისწინებულია შესაბამისად.

საერთო გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში განისაზღვრება გუნდების მიერ პროგრამის ორივე სახეობაში მიღებულ ქულათა ჯამის მიხედვით.

ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში 2 და მეტ გუნდს შორის, პირველობა მიენიჭება კოლექტივს, რომელსაც აქვს უკეთესი გუნდური შედეგები ადგილიდან სროლაში.

როგზურთი

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 9 კაცს: 4 ვაჟი, 4 ქალი და 1 მწვრთნელი.

გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს არა უმეტეს 18 წლის ასაკის 2 ქაბუკი და 2 გოგონა.

გუნდური პირველობა ტარდება წრიული სისტემით 1 წრედ.

ცალკეული თამაშების საერთო რაოდენობა გუნდური პირველობის შეხვედრებში უდრის 15-ს, აქედან: ვაჟების ერთეულთა 4 შეხვედრა (მათ შორის 2 ქაბუკი).

ქალების ერთეულთა 4 ცალკეული შეხვედრა (მათ შორის 2 გოგონა).

ვაჟების წყვილთა 2 შეხვედრა (მათ შორის 1 წყვილი ქაბუკები).

ქალების წყვილთა 2 შეხვედრა (მათ შორის 1 წყვილი გოგონები).

შერეულ წყვილთა 3 შეხვედრა (მათ შორის 1 წყვილი მოზარდები).

შეჯიბრება პირად პირველობაზე ტარდება გამოთხვევითი წესით. ყველა ადგილის გამოსაკვევად ერთეულთა თამაშებში ტარდება დამატებითი შეხვედრები და 3 პირველი ადგილის გამოსაკვენად წყვილთა თამაშებში.

ფარეკაობა

I ჯგუფის გუნდების რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 17 კაცს: 16 მონაწილე, 1 მწვრთნელი, II ჯგუფში — 9 კაცს: 8 მონაწილე, 1 მწვრთნელი.

მონაწილეთა შეთავსება იარაღის 2 სახეობაში არ შეიძლება.

შეჯიბრების პროგრამა

ვაჟები: ფარეკაობა რაპორით, ეს-მალრონით, დაშნით.

ქალები: ფარეკაობა რაპორით. გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა იარაღის ყოველ სახეობაში I ჯგუფის გუნდებისათვის უდრის 4 კაცს, II ჯგუფისათვის — 2 კაცს.

შეჯიბრება იარაღის ყოველ სახეობაში ტარდება 2 ეტაპად: პირველი გუნდურია, მეორე — პირადი.

შეჯიბრება ტარდება შეჯიბრების წესების შესაბამისად.

პირველი ადგილისათვის I ჯგუფში გუნდს იარაღის ყოველ სახეობაში იწერება 4 ქულა, მეორე ადგილისათვის — 2 ქულა და ა. შ.

თუ ორგანიზაციას იარაღის რომელიმე სახეობაში არ ეყოლა გუნდი, მას იწერება 0 ქულა.

გუნდური შეჯიბრება განისაზღვრება ყველა გუნდის მიერ (ვაჟები და ქალები) მიღებულ ქულათა ჯამის მიხედვით.

თუ 2 და მეტ გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა მიეცემა გუნდს, რომელსაც აქვს მეტი პირველი (მეორე, მესამე) და ა. შ. ადგილები.

ფეხბურთი

I ჯგუფი

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 15 კაცს: 14 მონაწი-

ლე, 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი. შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით 1 წრედ. გამარჯვებისათვის გუნდს იწერება 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0.

პირველობა განისაზღვრება ქულათა უმეტესი ჯამის მიხედვით.

თამაშები II და III ჯგუფებში ტარდება შერეული სისტემით.

ჭადრაკი

I ჯგუფი

გუნდის შემადგენლობა უდრის 10 კაცს: 6 არა ნაკლებ პირველი თანრიგის მქონე ვაჟი და 3 არა ნაკლებ მეორე თანრიგის მქონე ქალი (აქედან 1 ვაჟი და 1 ქალი არ უნდა იყვნენ 1939 წელში დაბადებულზე უფროსი) და 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი.

შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით 1 წრედ ერთიანი საკავშირო საჭადრაკო კოდექსისა და ქადრაკში გუნდურ შეჯიბრებათა წესების შესაბამისად.

გამარჯვებული გუნდი განისაზღვრება ყველა გუნდურ შეხვედრაში დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით.

პირველი ადგილისათვის ყოველ წონით კატეგორიაში გუნდს იწერება 1 ქულა, მეორე ადგილისათვის — 2 ქულა და ა. შ.

ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში პირველობა მიეკუთვნება გუნდს, რომელსაც აქვს მეტი პირველი (მეორე, მესამე) და ა. შ. ადგილი.

თუ გუნდს, რომელიმე წონით კატეგორიაში არა ჰყავს მონაწილე მას იწერება იმდენი ქულა, რამდენი მონაწილეცაა ყველაზე მრავალრიცხოვან წონით კატეგორიაში 1 სკადარიო ქულის დამატებით.

გუნდური პირველობის ჩათვლაში გუნდის იმ მონაწილეთა მიიგება, რომლებმაც დაამტკიცეს თანაბარი თანრიგისობა (სპორტის ოსტატისათვის ჩათვლაში შედის პირველი თანრიგის შედეგები).

შენიშვნა: აღნიშნული სახეობები შედის სპარტაკიადის პროგრამაში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

გუნდის შემადგენლობა უდრის 6 კაცს: 3 ვაჟი, 2 ქალი და 1 მწვრთნელი.

გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს არა უმეტეს 16 წლის ასაკის 1 ქაბუკი და 1 გოგონა.

გუნდური შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით 1 წრედ.

გუნდური პირველობის შეხვედრებში ცალკეული თამაშების საერთო რაოდენობა უდრის 9-ს. აქედან: 7 ერთეულთა შეხვედრა (1 ვაჟთა წყვილი და 1 შერეული წყვილი).

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 8 კაცს: 7 მონაწილე, 1 მწვრთნელი.

გუნდური შეჯიბრების ყველა თამაშებში გუნდის მიერ იწერება 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0.

პირველობა განისაზღვრება ქულათა უმეტესი ჯამის მიხედვით.

თამაშები II და III ჯგუფებში ტარდება შერეული სისტემით.

გუნდის შემადგენლობა უდრის 8 კაცს: 7 მონაწილე, 1 მწვრთნელი.

გუნდის შემადგენლობა უდრის 2 მონაწილეს და არ მიიღოს მონაწილეობა ერთ-ერთ რომელიმე წონით კატეგორიაში. მონაწილეთა პირადი ადგილები ყოველ წონით კატეგორიაში განისაზღვრება სამპილში ნახევრებ ქულათა ჯამის მიხედვით.

გუნდური პირველობა განისაზღვრება გუნდის 7 მონაწილის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით.

პირველი ადგილისათვის ყოველ კატეგორიაში იწერება იმდენი ქულა, რამდენი მონაწილეცაა, მეორე ადგილისათვის — 1 ქულით ნაკლები და ა. შ.

თუ 2 და მეტ გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა მიეცემა გუნდს, რომლის მონაწილეთაში დაიკავეს მეტი პირველი (მეორე, მესამე) და ა. შ. ადგილები.

მოსრდილები თამაშობენ ჯვარედინად (1,2, 2,1).

გუნდური შეჯიბრების ყველა თამაშებში გათვალისწინებულია 3 პარტიისაგან.

ქალმონობა

I, II, III ჯგუფები

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 8 კაცს: 7 მონაწილე (თითო ყოველ წონით კატეგორიაში) და 1 მწვრთნელი.

მონაწილეთა შემადგენლობაში იწერება: I ჯგუფში — 50 პროცენტი ოსტატები და პირველთანრიგის წევრები და 50 პროცენტი — არა ნაკლებ მეორე თანრიგის წევრები.

II ჯგუფი — არა ნაკლებ მეორე თანრიგის წევრები.

III ჯგუფი — 50 პროცენტი მეორე თანრიგის წევრები და 50 პროცენტი — მესამე თანრიგის წევრები.

პირველობა პირად-გუნდური ხასიათისა და ტარდება შეჯიბრების წესების შესაბამისად.

გუნდური პირველობა ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება ჩათვლითი მონაწილეების მიერ ყველა წონით კატეგორიაში დაგროვებულ ქულათა უმეტესი ჯამის მიხედვით.

პირველი ადგილისათვის ყოველ წონით კატეგორიაში გუნდს იწერება 1 ქულა, მეორე ადგილისათვის — 2 ქულა და ა. შ.


ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში პირველობა მიეკუთვნება გუნდს, რომელსაც აქვს მეტი პირველი (მეორე, მესამე) და ა. შ. ადგილი.

თუ გუნდს, რომელიმე წონით კატეგორიაში არა ჰყავს მონაწილე მას იწერება იმდენი ქულა, რამდენი მონაწილეცაა ყველაზე მრავალრიცხოვან წონით კატეგორიაში 1 სკადარიო ქულის დამატებით.

გუნდური პირველობის ჩათვლაში გუნდის იმ მონაწილეთა მიიგება, რომლებმაც დაამტკიცეს თანაბარი თანრიგისობა (სპორტის ოსტატისათვის ჩათვლაში შედის პირველი თანრიგის შედეგები).

შენიშვნა: აღნიშნული სახეობები შედის სპარტაკიადის პროგრამაში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.





გულრიფველ სპორტსმენებს არა აქვთ სპორტული გაზეტი

გულრიფვის რაიონშიც დაიწყო სპორტული ბაზის მშენებლობა, მაგრამ... გულრიფველ სპორტსმენთა სამართლიანი შენიშვნით, დრანდის სტადიონს „არაშენდა“ უფრო შეიფერებოდა სახელად. ამ ბაზის მშენებლობა თითქმის წელიწადზე მეტია მიმდინარეობს და დასასრულს პირი ჯერჯერობით არ უჩანს.

გულრიფვის რაიონის ცენტრში ერთ დროს საუკეთესო ხატურაო აუზი გვექონდა, მაგრამ დღეს ის უკვე ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროა მისი კაპიტალური რემონტი, დამბის გაკეთება, რათა აუზი კვლავ ჩადგეს მწყობარში.

გულრიფვის რაიონში ბევრია ნიჭიერი და შვარდი სპორტსმენი, მაგრამ მათ სისტემატურ წვრთნას ხელს უშლის ბაზების უქონლობა. მაკალითაღ, ჩვენი რაიონის მოკიდევები საჭიროებენ მცადინეობას გადაიან... სოხუმში, რადგან ადგილებზე სავარჯიშო ბაზები არ მოიპოვება. არ არის საჭირო სპორტული ინვენტარიც.

საინტერესოა, როდემდე გავრძელდება ასე?

გ. მითაგვარია

საჭიროა სპორტული მალაზია

ხაშურის რაიონში, კერძოდ, ხაშურსა და სურამში არ არის არც ერთი სპორტული მალაზია, რომელიც საჭირო ინვენტარს, სპორტული სახის საქონელს მიაწვდიდა ხაშურის რაიონის ფიზკულტურელებს.

საყვედური უნდა გამოვთქვათ იმ მალაზიების მიმართ, რომელთაც ზოგიერთი სპორტინვეტარი გააჩნიათ, მაგრამ გადარიცხვით არ ამღვევენ სკოლებს და თავს იმით იმართლებენ, რომ საქონელი არაღმიტირებულიაო, განა ასეთი პასუხი რამეს უშველის მოსწავლე სპორტსმენებს?

შ. ლურსაბაშვილი

სამი ყაიმი ოსტატთან

თბილისელი ელმავალმშენებლების ხშირი სტუმარია სპორტის ოსტატი მ. სიშოვი. ამას წინათ ქარხნის ფიზკულტურის საბჭოს მოწვევით მ. სიშოვიმ აქ წაიკითხა ლექცია ბოტანიკ-სმისლოვის მატჩ-რეგანშის შესახებ და მსმენელებს გააცნო პორტროის ტურნირის მსვლელები.

დასასრულ ოსტატმა მონაწილეობა მიიღო ათ დაფაზე ერთდროულ სეანსში. ელმავალმშენებლებმა 3 პარტიაში ყაიშს მიიღვიეს.

გ. შავილიანი

მიექვსა 1500 ნღოსთავს

თბილისის ფეხბურთის საქალაქო სექციის გადაწყვეტილებით 15 სექტემბერს იწყება საფეხბურთო გათამაშება, მიძღვნილი დედაქალაქის 1500 წლითავისადმი.

საუბილეთ თასის გათამაშებაში მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივები. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა სამახსოვრო თასი.

ბ. გონაძე

ამ დღეებში დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფრიდრიხსჰაფენში გამართა მძლეოსნთა შეჯიბრება, რომელიც აღინიშნა ფენომენალური შედეგით. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში ეგროპის ჩემპიონმა ა. პარმეს დისტანცია გაირბინა ზუსტად 10 წამში, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმმა ამას წინათ მოისმინა მახარაძისა და ახალციხის რაისაბჭოების თავმჯდომარეთა ინფორმაციები მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შესახებ. პლენუმზე აღინიშნა, რომ „კოლმეურნის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძობი მუშაობა ჩაატარეს სოფლის მოსახლეობას შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაშლის საქმეში.

პლენუმმა მკაცრად გააკრიტიკა მთელი რიგი რაისაბჭოები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სათანადო სიმძლავრე დეყენებით ფიზკულტურული მუშაობა სოფლის ახალგაზრდობას შორის. გურჯაანის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში თანდათან უარესდება მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა. ძირეული კოლექტივების უმეტესობა განუმტკიცებელია, იშვიათად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ცუდადაა საწევრო შესატანების აკრფვის საქმე. ანალოგიური მდგომარეობაა კაჭრეთის, ხაშურის, ახალციხის, ასპინძის, ოჩამჩირის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებშიც.

„სპარტაკი“	18 12 4 2 49:22 28
„დინამო“ მ.	19 11 8 5 37:28 25
ცსკ მო	20 8 8 4 38:24 24
„შაბთორი“	17 9 3 5 21:21 21
„ზენიტი“	17 7 6 4 34:27 20
„ლოკომოტივი“	16 7 5 4 30:18 19
„ტორპედო“	18 5 8 5 43:35 18
„დინამო“ კ.	16 4 8 4 29:24 16
„დინამო“ თბ.	18 6 2 10 28:51 14
„კრ. სოვეტ“	17 3 6 8 15:24 12
„მოლოდოვა“	17 2 7 8 21:36 11
„ადმირალტ“	21 3 0 18 21:61 6

⊙ კიევი. 9 სექტემბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სტეც. კორ.) კიეველი ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ მატჩს კიევისა და თბილისის „დინამოს“ თანაკლებელთა შორის. მაგრამ ეს ინტერესი ამაო გამოდგა. თბილისელებმა უარესად დაბალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და ამის გამო მატჩს არ ჰქონდა შესაფერისი სპორტული დაძაბულობა.

ანგარიში უკვე მე-3 წუთზე იქნა გახსნილი ფომინის მიერ. 27-ე წუთზე ბიბამ მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დასასრულს სიჭინავამ საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი — 3:0.

შესვენების შემდეგ ვოლოდეცმა მეოთხედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

მატი მოივო კიევის „დინამომ“ „მშრალი“ ანგარიშით — 4:0.

⊙ მოსკოვი. 9 სექტემბერი. აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვედნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“-ცსკ მო.

თამაში მოივო „დინამომ“ — 2:1.

⊙ ლენინგრადი. 8 სექტემბერი. ადგილობრივმა „ადმირალტეცმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“.

გამარჯვეს სპარტაკელებმა — 4:0.

რედაქტორი ი. შუშლაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი იუწყება სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ ჩიჩინოსძე მარღანის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი ღრმამუშუარებას გამოთქვამს ვლადიმერ ჩიჩინოსძე მარღანის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი ღრმამუშუარებით იუწყება თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ ჩიჩინოსძე მარღანის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.



ასე იღვბდა გურთებს
ვლადიმერ მარღანია.

ნეკროლოგი

ვ. ჩ. მარღანია

გარდაიცვალა, „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ ჩიჩინოსძე მარღანია.

უგნურმა შემთხვევამ ჩვენს რიგებს გამოსტაცა ჩინებული სპორტსმენი, გულისხმიერი აღმზრდელი, გულითადი მეგობარი და შესანიშნავი ადამიანი — ჩვენი ვლადიმერი.

ვის არ ახსოვს ფეხბურთის მოყვარულთაგან ვ. მარღანის ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩები, მისი გაბედული, კვიანური თამაში, სხარტი ნახტომები. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინოს, კუიბიშევის, ხარკოვის, მინსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების, უცხოეთის სახელმწიფოთა სტადიონებზე მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა ვ. მარღანის უნაკლო ტექნიკას, გააზრებულ მოქმედებას, შესანიშნავ, თავისებურ ოსტატობას. არ ყოფილა შემთხვევა

თბილისის „დინამოს“ მეკარეს ჩაედინოს რაიმე უხეშობა ან უტაქტო საქციელი მატჩის დროს, ეს იყო უარესად კორაქტული და თავაზიანი ფეხბურთელი მინდორზე, ხალისიანი და სიცოცხლით სავსე მეგობარი ცხოვრებაში.

ვ. მარღანია დაიბადა 1928 წელს ქ. სოხუმში, მოსამსახურის ოჯახში. ამავე ქალაქში დაამთავრა მან პედაგოგიური ტექნიკუმი, და აქვე დაიწყო თავისი სპორტული გზა.

ვ. მარღანია მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. სიკაბუტეში — 1944 წელს მას ეპყრა აფხაზეთის ჩემპიონის წოდება კრემში. ფეხბურთის თამაში მან დაიწყო 1945 წელს, 1946 წელს იცავდა სოხუმის „დინამოს“ კარს, ხოლო 1 წლის შემდეგ იგი უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის წევრია. 1952 წელს ვ. მარღანია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იმყოფებოდა XV ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკში. ვ. მარღანის სახელა მკვიდრო-

უნებელი ჩემოჩრსმენი

მეწამულ ზღვაში მიმავალი ერთერთი გემის ეკიპაჟმა მხოლოდ ექვსი საათის შემდეგ შეამჩნია მგზავრის დაკარგვა. ეკვი აღარავის ეპარებოდა მის ბედში, მაგრამ კაპიტანმა მაინც ბრძანა გემის გაჩერება. რამდენიმე საათის შემდეგ გემზე მყოფებმა შეამჩნიეს ადამიანი, რომელიც მათკენ მოცურავდა ფილოსოფიური სიღინჯით. ეს იყო შეედი სვენ ბრისმო, რომელიც მოულოდნელად გადავარდა წყალში და თავისდაუნებურად დაამყარა რეკორდი ცურვაში.



დაა დაკავშირებული ქართული ფეხბურთის განვითარებასთან. მის მაგალითზე ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა არაერთი მაღალი კლასის მეკარე. მიმდინარე წლის სეზონში ვ. მარღანიამ თავი დაანება თამაშს და მწვერთენლის საქმიანობას მოჰკიდა ხელი. ამ მცირე დროის განმავლობაში მან ისეთივე კეთილი სახელი და სიყვარული მოიპოვა თავის ალსაზრდელთა და კოლეგებს შორის, როგორც მას ჰქონდა ფეხბურთის მწვერთენლის მაყურებელთა წინაშე. ვლადიმერ ჩიჩინოსძე მარღანის ნათელი სახე მუდამ იცოცხლებს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, მისი ამხანაგების გულგებულებით.

ამხანაგების ჯგუფი.